

სს აჭარა-ტური

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	7
4. საკომისიო შემოსავლები.....	8
5. სხვა ხარჯები	8
6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	9
7. გაცემული სესხები	10
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
9. საგადასახადო აქტივი	10
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	10
11. მიღებული ავანსები.....	10
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	11
14. პირობითი ვალდებულებები.....	12
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	12
16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13

სს აჭარა-ტური

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავლები			
საკომისიო შემოსავლები	4	2,582,181	1,932,074
სხვა შემოსავალი		33,052	195,212
		2,615,233	2,127,286
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(840,698)	(955,779)
მივლინების ხარჯები		(48,665)	(20,119)
სარეკლამო მომსახურების ხარჯი		(37,643)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(78,885)	(54,304)
სხვა ხარჯი	5	(517,813)	(284,765)
		(1,523,704)	(1,314,967)
საოპერაციო მოგება		1,091,529	812,319
საპროცენტო შემოსავალი		8,770	16,075
საპროცენტო ხარჯი		(7,249)	(1,874)
საკურსო სხვაობის მოგება, წმინდა		6,821	4,337
მოგება დაბეგვრამდე		1,099,871	830,857
მოგების გადასახადის ხარჯი		(26,310)	(7,438)
წმინდა მოგება		1,073,561	823,419

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ირაკლი თავართქილაძე

ფინანსური დირექტორი _____ ირაკლი ზაქარაძე

სს აჭარა-ტური

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავლები			
საკომისიო შემოსავლები	4	2,582,181	1,932,074
სხვა შემოსავალი		33,052	195,212
		2,615,233	2,127,286
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(840,698)	(955,779)
მივლინების ხარჯები		(48,665)	(20,119)
სარეკლამო მომსახურების ხარჯი		(37,643)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(78,885)	(54,304)
სხვა ხარჯი	5	(517,813)	(284,765)
		(1,523,704)	(1,314,967)
საოპერაციო მოგება		1,091,529	812,319
საპროცენტო შემოსავალი		8,770	16,075
საპროცენტო ხარჯი		(7,249)	(1,874)
საკურსო სხვაობის მოგება, წმინდა		6,821	4,337
მოგება დაბეგვრამდე		1,099,871	830,857
მოგების გადასახადის ხარჯი		(26,310)	(7,438)
წმინდა მოგება		1,073,561	823,419


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ირაკლი თავართქილაძე

ფინანსური დირექტორი



ირაკლი ზაქარაძე

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს აჭარა-ტური

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,035,928	1,067,899	1,097,071
არამატერიალური აქტივები	6	34,716	41,866	38,910
გაცემული სესხები	7	53,237	53,237	53,237
		1,123,881	1,163,002	1,189,218
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		969	19,581	44,752
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	736,011	541,188	416,556
გადახდილი ავანსები		188,979	264,973	184,138
საგადასახადო აქტივი	9	1,199,388	558,835	64,683
გაცემული სესხები		14,005	10,294	3,906
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	416,611	160,783	726,454
		2,555,963	1,555,654	1,440,489
სულ აქტივები		3,679,844	2,718,656	2,629,707
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		383,102	383,102	383,102
გაუნაწილებელი მოგება		407,671	1,234,110	1,264,350
		790,773	1,617,212	1,647,452
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	11	102,548	203,941	275,312
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,613,579	781,044	706,943
სახელფასო ვალდებულებები		172,944	116,459	-
		2,889,071	1,101,444	982,255
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,679,844	2,718,656	2,629,707

სს აჭარა-ტური

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	383,102	1,264,350	1,647,452
მფლობელებზე განაწილებული გამოცხადებული დივიდენდები	-	(853,659)	(853,659)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	823,419	823,419
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	383,102	1,234,110	1,617,212
მფლობელებზე განაწილებული გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,900,000)	(1,900,000)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,073,561	1,073,561
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	383,102	407,671	790,773

სს აჭარა-ტური

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,099,871	830,857
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		78,885	54,304
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		-	809
საპროცენტო ხარჯი		7,249	1,874
საპროცენტო შემოსავალი		(8,770)	(16,075)
(მოგება) ზარალი საკურსო სხვაობებიდან		(6,821)	(4,337)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,170,414	867,432
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) შემცირება		(195,975)	(109,012)
გადახდილი ავანსების (ზრდა) შემცირება		75,994	(80,835)
წინასწარ გადახდილი გადასახადების (ზრდა)		(657,009)	(499,879)
მარაგების შემცირება		18,612	25,171
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება) ზრდა		(68,975)	70,345
სახელფასო ვალდებულებების ზრდა		56,485	116,459
მიღებული ავანსების (შემცირება)		(101,393)	(71,371)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		298,153	318,310
გადახდილ პროცენტამდე			
გადახდილი პროცენტები		(7,249)	(1,874)
გადახდილი მოგების გადასახადი		(9,854)	(1,711)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		281,050	314,725
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	6	(39,764)	(28,897)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის:		(39,764)	(28,897)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტები		5,027	9,687
გადახდილი დივიდენდები		-	(853,659)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		5,027	(843,972)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		246,313	(558,144)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	160,783	726,454
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		9,515	(7,527)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	416,611	160,783

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „აჭარა ტური“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2006 წლის 23 იანვარს.

ორგანიზაციის 100%-იანი მფლობელი არი სს მეტრო ჯორჯია.

სს „აჭარა ტური“-ს დირექტორია ირაკლი თავართქილაძე.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტურისტული მომსახურებების გაწევა.

კომპანიის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართი საქართველო, ქ.ბათუმი, მელიქიშვილის ქ. N32/48

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას, შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში.

როგორც მე-14 შენიშვნაშია განმარტებული, მიუხედავად იმისა რომ მთავრობის შეზღუდვების გამო კომპანიამ თითქმის სამი თვით შეაჩერა საქმიანობა, კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ 2020 წელს კომპანია გამოიმუშავებს დაგეგმილ შემოსავალს.

შედეგად, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. საკომისიო შემოსავლები

კომპანია წარმოადგენს ტურ-ოპერატორს, რომელიც კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნდან გამომდინარე, გეგმავს სხვადასხვა ტურებს, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით. კომპანია ძირითად შემთხვევაში სხვადასხვა კომპანიებისგან ყიდულობს საქონელსა და მომსახურებას (სასტუმრო, სატრანსპორტო, სხვა მომსახურება და სხვადასხვა ბილეთები), რომელზეც კონტროლს იპოვებს პირდაპირ მომხმარებელი, შესაბამისად კომპანია არის შუამავალი თავის გარიგებებში, რის გამოც ის გაწეული მომსახურებებიდან მიღებულ შემოსავლებსა და შესყიდული მომსახურების ღირებულებას წარადგენს დანეტებულად მსს ფასს-ის 23.4 პუნქტის მიხედვით.

კომპანიამ საკომისიო შემოსავლის სახით 2019 და 2018 წლებში აღიარა 2,582,181 და 1,932,074 ლარი წლების შესაბამისად.

5. სხვა ხარჯები

	2019	2018
წარმომადგენლობითი ხარჯი	(117,854)	(48,903)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(100,754)	(11,358)
საიჯარო ხარჯი	(72,313)	(36,558)
ჯარიმა	(67,093)	(29,751)
ვალის პატიება	(30,512)	-
საკომუნიკაციო ხარჯი	(19,956)	(11,145)
ბანკის საკომისიო	(13,892)	(17,409)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(8,644)	(13,644)
კომუნალურები	(8,036)	(5,908)
ვიზის მოსაკრებელი	(7,039)	(3,023)
საკანცელარიო ხარჯი	(6,421)	(8,731)
დაცვის ხარჯი	(3,559)	(3,666)
რემონტის ხარჯი	(2,317)	(11,618)
ქველმოქმედება	-	(4,265)
სხვა	(59,423)	(78,786)
	(517,813)	(284,765)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

სს აჭარა-ტური

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ	არამატერიალური აქტივები
2018 წლის 1 იანვრისთვის	1,086,578	1,180	64,850	26,604	1,179,212	49,531
შესყიდვა	-	-	28,897	-	28,897	-
გასვლა	-	(1,180)	(2,979)	-	(4,159)	-
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,086,578	-	90,768	26,604	1,203,950	49,531
შესყიდვა	-	-	33,130	6,634	39,764	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,086,578	-	123,898	33,238	1,243,714	49,531
დაგროვილი ცვეთა						
2018 წლის 1 იანვრისთვის	(52,626)	(787)	(22,610)	(6,118)	(82,141)	(10,621)
ცვეთა/ამორტიზაცია	(36,626)	(393)	(16,250)	(3,991)	(57,260)	(3,475)
წინა პერიოდის ამორტიზაციის კორექტირება	-	-	-	-	-	6,431
გასვლა	-	1,180	2,170	-	3,350	-
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(89,252)	-	(36,690)	(10,109)	(136,051)	(7,665)
ცვეთა/ამორტიზაცია	(44,231)	-	(22,914)	(4,590)	(71,735)	(7,150)
გასვლა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(133,483)	-	(59,604)	(14,699)	(207,786)	(14,815)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვრისთვის	1,033,952	393	42,240	20,486	1,097,071	38,910
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	997,326	-	54,078	16,495	1,067,899	41,866
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	953,095	-	64,294	18,539	1,035,928	34,716

სს აჭარა-ტური

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

7. გაცემული სესხები

კომპანიას გაცემული აქვს სესხები 2017 წლის მარტიდან. 2018 და 2019 წლების განმავლობაში არ ქონია ადგილი სესხების დაფარვას, რის გამოც დაიწყო სასამართლო დავა, რომელიც მიმდინარე პერიოდისთვის დასრულებულია და მსესხებელს დაეკისრა ძირისა და პროცენტის გადახდა.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	566,298	408,805	349,585
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	55,936	17,718	66,175
სხვა მოთხოვნები	113,777	114,665	796
	736,011	541,188	416,556

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ არიან ვადაგადაცილებული და შესაბამისად არც გაუფასურებული.

9. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო სახელისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად, როგორც აქტივი 1,199,388 , 558,835 და 64,683 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო ორგანომ კომპანიას ჩაუტარა კომპანიას საგადასახადო შემოწმება. შემოწმები მოიცავს პერიოდს 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 აგვისტომდე. 2020 წლის 21 იანვარს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ბრძანების საფუძველზე, კომპანიას დაერიცხა ძირითადი გადასახადი 58,183 ლარი და ჯარიმა 23,073 ლარი.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნაღდი ფული	33,660	10,939	107,957
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	289	235
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	382,951	149,555	618,262
	416,611	160,783	726,454

11. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
არაფინანსური ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავლები	15,155	-	25,431
სხვა	87,393	203,941	249,881
	102,548	203,941	275,312

სს აჭარა-ტური

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფინანსური ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	703,926	741,156	617,347
გადასახდელი დივიდენდები	1,900,000	-	-
სხვა	9,653	39,888	89,596
	2,613,579	781,044	706,943

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლ ქვეშ	ბენეფიციარი მფლობელები	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	2,886	76,362	79,248
გადახდილი ავანსები	-	2,088	-	2,088
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,984,198	379,535	-	2,363,733
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
მომსახურების/საქონლის	330	18,660	-	18,990
გაყიდვა	-	68	-	68
სხვა შემოსავალი	-	-	-	-
მომსახურების/საქონლის შეძენა	(460,514)	-	-	(460,514)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლ ქვეშ	მფლობელი ბენეფიციარები	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,889	-	494,332	508,221
გადახდილი ავანსები	-	10,184	-	10,184
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	35,000	-	35,000
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
მომსახურების/საქონლის	11,770	-	768,662	780,432
გაყიდვა	-	-	-	-
სხვა შემოსავალი	13,154	-	-	13,154
მომსახურების/საქონლის შეძენა	-	16,216	-	16,216

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლ ქვეშ	მფლობელი ბენეფიციარები	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	6,481	18,115	24,596
გადახდილი ავანსები	34,662	64,023	-	98,685
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	509,449	89,596	599,045

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 259,736 და 148,636 ლარს, შესაბამისად.

14. პირობითი ვალდებულებები

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 71,942 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- შემცირებული მომხმარებლების მოთხოვნა პროდუქციაზე გამოწვეული შემოსავლის დაკარგვით და/ან მომხმარებლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვით
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე. მენეჯმენტმა შეწყვიტა მომხმარებლების მომსახურება

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები (გაგრძელება)

2020 წლის 20 მარტიდან და მაისის ჩათვლით, ხოლო მაისიდან დაიწყო მხოლოდ სპეც-რეისების ბილეთების რეალიზაცია მხოლოდ ერთ ფილიალში.

კომპანიას 2020 წლის მაისში შეეცვალა იურიდიულ სამართლებრივი ფორმა და შპს აჭარა-ტურის ნაცვლად ფუნქციონირებას აგრძელებს „სს აჭარა-ტურის“ სახელით.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიანი აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულის გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	30
მანქანა დანადგარები	5
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი საკომისიოდან

ტურებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. კომპანია ყველა სააგენტო ურთიერთობაში გამოდის რწმუნებულის როლში, ამიტომ ამონაგებში რთავს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებულ თანხებს. კომპანიისთვის მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები ამონაგები არ არის.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.